ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

დიანა აბრამაშვილი

მართლმადიდებლური თემატური ჯგუფების თვითპრეზენტაცია სოციალურ ქსელ ფეისბუქში

კულტურის და მედიის სოციოლოგია

ნაშრომი შესრულებულია სოციალური და კულტურული კვლევების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ლია წულაძე - სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

ნაშრომი მიზნად ისახავს, შევისწავლო მართლმადიდებლური თემატური ჯგუფების თვითპრეზენტაცია სოციალურ ქსელ ფეისბუქში არსებული პოსტებისა და დიკუსიების საფუძველზე. მათ დისკუსიებში ნათლად ჩანს, თუ როგორ თვითპრეზენტაციას ახდენენ მართლმადიდებლური ჯგუფები, როგორ აკავშირებენ რელიგიასა და ნაციონალიზმს, რა მიმართულებით ახდენენ ეროვნულობის ხაზგასმას და როგორ უპირისპირდებიან ანტინაციონალისტური ღირებულებების გავრცელება/დამკვიდრებას ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ჯგუფები ცდილობენ, შექმნან ნარატივი, სადაც მართლმადიდებლობა და მართლმადიდებლური ღირებულებები იქნება ქართველი ერის სოციალური ყოფიერების განმსაზღვრელი.

მართლმამიდებლური თემატური ჯგუფების გვერდებს ჰყავს ათობით ათასი „მომწონებელი“ და „მიმდევარი“, ასევე დიდია მათ პოსტებსა და დისკუსიებში მონაწილე ადამიანების რიცხვი. ვფიქრობთ, მათი თვითპრეზენტაციის შესწავლა მნიშნელოვანია, რადგან ამ ჯგუფების რიტორიკული პერფორმანსი სოციალურ ქსელში არის რელიგიის მიერ ნაციონალისტური ელემენტების მითვისების მცდელობა. მათ მიერ შექმნილი პოსტები კი არის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება უბიძგოს საზოგადოებას რელიგიურ-ნაციონალისტური სენტიმენტების გაღვიძებისაკენ ერთი შეხედვით, „უვნებელმა” დისკურსებმა.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, გამოვიყენე დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდი და გავაანალიზე ამ თემატური ჯგუფების პოსტები და დისკუსიები სოციალურ ქსელ „ფეისბუქში” მიმდინარე წლის სამი თვის მანძილზე (მარტი, აპრილი, მაისი), რაც დამეხმარა, ქართულ რეალობაში რელიგიის და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების სხვადასხვა ფორმის გამოვლენაში.

მართლმადიდებლობასა და ნაციონალიზმს შორის ურთიერთმიმართების თავისებურებანი შეფასებულ იქნა როჯერს ბრუბეიკერის (Brubaker, 2012) მოდელის საფუძველზე, რომელიც

ნაციონალიზმისა და რელიგიის მიმართების ოთხ ძირითად მიდგომას გამოყოფს: რელიგიისა და ნაციონალიზმის ანალოგიურ ფენომენებად განხილვა; რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შესწავლის საშუალება; რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შემადგენელი ნაწილი; ნაციონალიზმი, როგორც რელიგიის ერთგვარი ფორმა. სოციალურ ქსელში არსებული მართლმადიდებელი ჯგუფების კვლევამ, ჩვენს რეალობაში ოთხივე მიდგომის არსებობა დაადასტურა და მათი კულტურულ-სპეციფიკური ელემენტები გამოავლინა.

ნაშრომი რელიგიურ ჯგუფებში ჩართული დისკუსანტების სოციალურ ქსელში თვითპრეზენტაციას, ასევე, ქართულ რეალობაში რელიგიასა და ნაციონალიზმს შორის არსებულ ურთიერთმიმართებებს აანალიზებს. რადგან, მიუხედავად თემის აქტუალობისა, მსგავსი კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა, ვფიქრობ, ნაშრომში წამოჭრილი საკითხები და მონაცემების ანალიზი საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისათვის.

Annotation

Diana Abramashvili

The purpose of the work is to study the self-presentation of Orthodox thematic groups based on the posts and discussions in social network Facebook. In their discussions it clearly shows how the Orthodox groups are self-presenting, how they link religion and nationalism, in what direction do they highlight the nationality and how they oppose spreading/establishment of anti-nationalist values in Georgian social life. These groups are trying to create a narrative where Orthodoxy and Orthodox values will define the social aspects of the Georgian nation.

The pages of thematic Orthodox groups have tens of thousands of "likes" and "followers", as well as a large number of people participating in their posts and discussions. I think the study of their self-presentation is important because the rhetorical performance of these groups in social network is an example of the use of nationalist elements by religion, and the posts created by them show how the public may be encouraged to awake up the religious-nationalist sentiments by at first glance, "harmless" discourses.

The study was conducted by qualitative research methods, in particular, has been used the critical analysis method of discus and analyzed posts and discussions of three months (March, April, May) of these thematic groups in the social network "Facebook", which helped me to identify the different forms of interaction of religion and nationalism in Georgian reality.

The peculiarities of the relationship between orthodoxy and nationalism was assessed based on model of Roger Brubaker, 2012, which emphasizes the four main approaches to nationalism and religion: reviewing the religion and nationalism as the same phenomenon; Religion as a means of studying nationalism; Religion as a part of nationalism; Nationalism as a form of religion. The research on Orthodox groups existing in the social network confirmed the existence of four approaches in our reality and revealed their cultural-specific elements.

The work analyzes the self-presentation of discussants in social network involved in religion groups as well as the existing interactions between religious and nationalism in the Georgian reality. Because, regardless of the actuality of topic, the similar research has not been conducted in Georgia yet, I think the issues outlined in the paper and data analysis is interesting and important for the Georgian society.

სარჩევი

შესავალი 7

თავი 1. თეორიული ნაწილი 16

1.1 რელიგიასა და ნაციონალიზმს შორის ურთიერთმიმართება 16

1.2 რელიგიისა და ნაციონალიზმის ანალოგიურ ფენომენებად განხილვა 16

1.3 რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შესწავლის საშუალება 18

1.4 რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შემადგენელი ნაწილი 20

1.4 ნაციონალიზმი, როგორც რელიგიის ერთ-ერთი ფორმა 22

რელიგიისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების მართლმადიდებლური ნარატივები 24

1.5 ქართული ნარატივი 24

1.6 ბალკანური ნარატივი 29

1.7 რუმინული ნარატივი 31

თავი 2. ემპირიული ნაწილი 33

1.1 მართლმადიდებლობა და ქართული ერვნული იდენტობა 33

1.2 რელიგია, როგორც ნაციონალიზმის ანალოგია 34

1.3 რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შემადგენელი ნაწილი 36

დასკვნა 41

გამოყენებული ლიტერატურა: 42

შესავალი

საკითხის დასმა და კვლევის აქტუალობა

„რა საჭიროა გზა, თუ ის ტაძრამდე არ მიგვიყვანს?!"

(თ. აბულაძე „...")

როგორც პოლ მენინგმა (Manning, 2008) აღნიშნა, ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში აშენდა იმაზე მეტი ეკლესია, ვიდრე წინა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. დღეს მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყნის მასშტაბით მონოპოლი რელიგიაა, თუმცა ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინ, საბჭოთა წლებში, რელიგიურობის საჯარო პრაქტიკა აკრძალული იყო და ეკლესია მხოლოდ კულტურული საცავის ფუნქციას ასრულებდა. მაშინ ეკლესიას გადარჩენაში ქართული ეროვნული იდენტობისა და მართლმადიდებლობის მჭიდრო კავშირი დაეხმარა (Serrano, 2010, გვ.1).

1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის ჩამოშლამ სრულიად ახალი კონტექსტი შექმნა - შეიცვალა ურთიერთმიმართება ეროვნულ იდენტობასა და მართლმადიდებლობას შორის. ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით რეფორმირდა, ერთი მხრივ, ნაციონალური დისკურსი, რომელიც მართლმადიდებლობას ახლა უკვე ერის მომავლის განმსაზღვრელად მოიაზრებდა, მეორე მხრივ კი, რელიგიური პრაქტიკების დევნა ჩაანაცვლა რელიგიურობამ. საჯარო ცხოვრებაში მოხდა „ღმერთის დაბრუნების" მანიფესტაცია: ახლა ადმიანები ეკლესიის დანახვისას იწერენ პირჯვარს, საკუთარი რელიგიურობის ნიშნად ატარებენ ჯვრებს, ესწრებიან მართლმადიდებლურ რიტუალებს და წირვა-ლოცვებს (Serrano, 2010, გვ. 2).

მართლმადიდებლობის ამგვარ აღზევებას ბუნებრივად არ მიიჩნევს სილვია სერანო. იგი ფიქრობს, რომ ეს ფაქტი უმეტესად პოლიტიკური ნებით არის განპირობებული, რომელიც

რელიგიასა და ნაციონალურ იდენტობას შორის კავშირის ხელახალ განსაზღვრებას/დადგენას და საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის მართლმადიდებელ ქრისტიანთა მიწებად მიჩნევას ისახავს მიზნად. ეკლესიების აშენება სწორედ ამ სტრატეგიის ნაწილია, მაშინ, როდესაც მოტივაცია არის არა ახალი სამლოცველოების გახსნა, არამედ ნიადაგის მომზადება, თანმიმდევრულად აისახოს რელიგიასა და ეროვნულ იდენტობას შორის არსებული კავშირის გამყარება (Serrano, 2010, გვ. 2).

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ამ ორი ფენომენის - ნაციონალიზმისა და რელიგიის - კავშირზე. „რელიგია აყალიბებს იდენტობას და გვაძლევს მიმართულებას, გვიყალიბებს შეხედულებებს, გვიდგენს სამომავლო გეგმებს, გვპასუხობს შეკითხვებზე და განგვიმარტავს არსის მნიშვნელობას. ამავე პოტენციის მქონეა ნაციონალიზმი, რომელიც ქმნის ჩარჩოს ადამიანების მოქმედებისთვის" (Rieffer, 2003, გვ. 217-218). საზოგადოებაში ნაციონალიზმის გააქტიურებას მოსდევს რელიგიური ელემენტების ჩართვა მასში, რაც მოსახლეობაში მხარდაჭერას და ერთიანობის განცდის შექმნას უწყობს ხელს (Rieffer, 2003, გვ. 229). ნაციონალისტური იდეები, უმეტესწილად, ეფუძნება თანამედროვე რელიგიურ იდეებს. ბევრ საზოგადოებაში ნაციონალური იდეოლოგია და ტრადიცია არის რელიგიის უნივერსალურობიდან ამოზრდილი (Tevzadze, 2010, გვ. 11).

რელიგიისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია როჯერს ბრუბეიკერის მოდელის განხილვა (2012). იგი განიხილავს რელიგიისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების ოთხ ვარიანტს:

1. რელიგიისა და ნაციონალიზმის ანალოგიურ ფენომენებად განხილვა;
2. რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შესწავლის საშუალება;
3. რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შემადგენელი ნაწილი;
4. ნაციონალიზმი, როგორც რელიგიის ერთგვარი ფორმა.

სილვია სერანოს სტატიაში განხილული ნარატივის თანახმად, საქართველოში პოლიტიკური ნებით რელიგიის აღზევებას მართლმადიდებელი ეკლესია თანხმობით შეხვდა. დღეს სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია არ არის მართლმადიდებლობა, საქართველო კონსტიტუციით აღიარებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, მისი მოსახლეობის 83% კი თავს მართლმადიდებელ ქრისტიანდ მიიჩნევს. რელიგია და ეროვნული იდენტობა ქვეყანაში იმდენად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რომ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპის თანახმად, ქართველი სხვა რელიგიის წარმომადგენელი ვერ იქნება, ის აუცილებლად მართლმადიდებელი ქრისტიანია. ამასთან, აღსანიშნავია სტატისტიკაც, რომელიც კიდევ უფრო გამოკვეთს ქართულ მართლმადიდებლობაში ნაციონალიზმის ელემენტებს. მაგალითად, გამოკითხული მოსახლების აზრით, საქართველოში მცხოვრებ სხვა რელიგიის წარმომადგენლებს, არ უნდა ჰქონდეთ იგივე უფლებები, რაც ქართველ მართლმამდიდებელ უმრავლესობას აქვს (სუმბაძე, 2012). ამასთან, ბოლო ოცი წლის განმავლობაში მოხდა არაერთი დაპირისპირება მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ მოქალაქეებს შორის რელიგიურ ნიადაგზე.

დღეს მართლმადიდებელი ჯგუფები აქტიურად და ღიად გამოხატავენ საქართველოში საკუთარ უპირატესობას - როგორც საჯარო, ასევე ვირტუალურ სივრცეში. ბოლო წლებში, სოციალურ ქსელ ფეისბუქში რელიგიური თემატიკის ათეულობით გვერდი შეიქმნა. ისინი მომხმარებლებში განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობენ. მათ ათეულობით ათასი „მომწონებელი“ და „მიმდევარი“ ჰყავთ. ეს თემატური ჯგუფები აქტიურად აახლებენ საკუთარ „პროფილებს“ და სასურველი მიმართულებით წარმართავენ დისკუსიებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებზე. მათ სტატუსებში კარგად ჩანს, თუ როგორი კუთხით ახდენენ თვითპრეზენტაციას ეს ჯგუფები, როგორ უკავშირებენ რელიგიას ნაციონალიზმს და რა მიმართულებით ხდება ეროვნულობის ხაზგასმა მათ დისკუსიებში.

ჩემი ნაშრომის **მიზანია** ვიკვლიო, თუ როგორ აისახება ქართულ რეალობაში რელიგიასა და ნაციონალიზმს შორის არსებული ურთიერთკავშირი, მართლმადიდებლური თემატური ჯგუფების სოციალურ ქსელ ფეისბუქში თვითპრეზენტაციის საფუძველზე. ამ ურთიერთკავშირის შესაფასებლად კი, გამოყენებულ იქნა ბრუბეიკერის მიერ შემოთავაზებული, რელიგიასა და ნაციონალიზმს შორის ურთიერთმიმართების ოთხგანზომილებიანი მოდელი.

დასახული მიზნის შესაბამისად დასმულია შემდეგი ძირითადი **ამოცანები:**

1. რა ურთიერთმიმართებები ვლინდება მართლმადიდებლობასა და ნაციონალიზმს შორის ამ ჯგუფების დისკუსიებიდან;

2. რომელია დომინანტური ხედვა და რამ განაპირობა მისი დომინანტურობა.

საკვლევი ამოცანების შესაბამისად შემუშავებულია შემდეგი **ჰიპოთეზა:**

რადგან მართლმადიდებლობა ქართული იდენტობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მოსახლეობაში სხვა სოციალურ ინსტიტუტებზე ბევრად მაღალი ნდობით სარგებლობს (შესაბამისად, მისი გავლენაც ეროვნულ იდენტობაზე მათ გავლენაზე უფრო ძლიერია), ვფიქრობთ, სოციალურ ქსელში არსებულ მართლმადიდებლურ ჯგუფებში როჯერს ბრუბეიკერის მოდელის ოთხივე განზომილება გამოვლინდება და განსაკუთრებით თვალსაჩინო იქნება დისკურსი რელიგიის, როგორც ნაციონალიზმის ქვაკუთხედის, შესახებ.

კვლევის მეთოდოლოგია

შერჩევა

ჩემი კვლევისათვის საჭირო მონაცემები მოვიპოვე მართლმადიდებლური თემატიკის შემდეგი ფეისბუქ გვერდებიდან: „პატრისტიკა პატრილოგია“, „საქართველოს იმედი“,

„მართლმადიდებლური მარგალიტები-ნამდვილი“, „ტკბილ ხარ შენ უფალო.“ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შერჩევის კრიტერიუმად გამოვიყენე ამ ფეისბუქ გვერდების „მიმდევართა“ და „მომწონებელთა“ რაოდენობა, (ათეულობით ათასი), წარმართული დისკუსიების თემატიკის აქტუალობა, რაც არ უკავშირდება მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულებსა და დადგენილებებს და განიხილავს ქვეყანაში მომხდარ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მოვლენებს. აქტუალობის საზომად გამოვიყენე პოსტებზე მოწონებების, გაზიარებებისა და კომენტარების რაოდენობა. ამგვარად, გავაანალიზე ზემოხსენებული ოთხი ფეისბუქ გვერდის აქტივობა მიმდინარე წლის 3 თვის განმავლობაში (მარტი, აპრილი მაისი). ეს პერიოდი შევარჩიე იმიტომ, რომ დაემთხვა რუსთავი 2-სა და საპატრიარქოს შორის მიმდინარე დაახლოებით 1-თვიანი დაპირისპირებას, არასრუსლწლოვნების გახმაურებული მკვლელობის საქმეს, ასევე ოჯახის სიწმინდის დღესა და საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს.

მონაცემთა ანალიზის მეთოდი

მართლმადიდებლური თემატური ჯგუფების თვითპრეზენტაცია შევისწავლე დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდით. დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდი დამეხმარა გამეანალიზებინა, თუ როგორია მართლმადიდებლური თემატური ჯგუფების თვითპრეზენტაცია სოციალურ ქსელში და როგორ ახდენენ ეს ჯგუფები რელიგიურის და ეროვნულის ურთიერთმიმართების ხაზგასმას თავიანთ პოსტებსა და დისკუსიებში.

დისკურსი - ეს არის „ენა ქმედებაში.“ დისკურსი სოციალური პრაქტიკების გზით ყალიბდეაა და ამავდროულად, თავად აყალიბებს ამ სოციალურ პრაქტიკებს. დისკურსი არის სოციალურად კონსტრუირებული, სოციუმით განპირობებული ფენომენი. ის ამყარებს სოციალურ სტატუს-კვოს და ამასთან, განაპირობებს მის ტრანსფორმაციას. დისკურსის გზით ხდება წარმოება და კვლავწარმოება ძალაუფრებრივი ურთიერთობებისა სოციალურ კლასებს, ეთნო-კულტურულ უმრავლესობა/უმცირესობებს, ქალებსა და

მამაკაცებს შორის იმ გზით, რა გზითაც ისინი ახდენენ თვითპრეზენტაციას და ამჟღავნებენ საკუთარ პოზიციებს (Fairclough and Wodak, 1997, გვ. 258).

დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდით, საკვლევი მოვლენის დეტალური ანალიზის დროს საჭიროა ლინგვისტური სტრუქტურის და ტექსტის მიკროსტრუქტურის კვლევა - ეს არის თემის, ფორმალური სტრუქტურის, გამომსახველობის წესების კვლევა: ლინგვისტური მახასიათებლები, სიტყვები, არგუმენტები, გადაფარვები, აქცენტები, ნაწილაკები.

დისკურსის კრიტიკული ანალიზი მოიცავს სამ საფეხურს: ტექსტის აღწერა, ინტერპრეტაცია და ახსნა. აღწერა ტექსტის ფორმალური მხარეა, ინტერპრეტაცია ტექსტსა და ინტერაქციას შორის არსებულ ურთიერთმიმართებას ასახავს, ხოლო ახსნა დაკავშირებულია ინტერაქციასა და სოციალურ კონტექსტთან (Fairclough, 1989, გვ. 26).

ნორმან ფერკლოუმ გამოყო ტექსტის ანალიზის შემდეგი სამი მიმართულება: ლექსიკა, გრამატიკა და ტექსტური სტრუქტურა. გვთავაზობთ ამ მოდელიდან იმ ძირითად შეკითხვებს, რომელთა საფუძველზე რელიგიურ და ნაციონალისტურ სენტიმენტებს შორის ურთიერთმიმართება ვიკვლიეთ.

ლექსიკა:

1. რა გამოცდილების მატარებელია სიტყვები (გამოყენებულია თუ არა სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები და/ან იდეოლოგიური დატვირთვის სიტყვები? ნათქვამის დაფარვა ან გადაფარვა თუ ხდება?);
2. რა მიმართებითი მნიშვნელობის მქონეა სიტყვები (არის თუ არა ტექსტში გამოყენებული ევფენიზმები, სიტყვები ფორმალურია, თუ არაფორმალური);
3. რა ექსპრესიული მნიშვნელობისაა სიტყვები (ანუ რა ემოციური დატვირთვის მატარებელია ისინი);
4. რა მეტაფორებია გამოყენებული.

გრამატიკა:

5. როგორ არის აგებული გრამატიკული სტრუქტურა („აგენტობა” თუ არის დაფარული, რომელი გვარია გამოყენებული - მოქმედებითი თუ ვნებითი, წინადადება უარყოფითია თუ დადებითი);
6. როგორია გრამატიკულ სტრუქტურებს შორის მიმართებები - წინადადება თხრობითია, კითხვითი, თუ - ბრძანებითი და არის თუ არა ნაცვალსახელები: ჩვენ-თქვენ, მე-ისინი გამოყენებული;
7. რა ექსპრესიული მნიშნელობები აქვს გრამატიკულ მახასიათებლებს ;
8. როგორ არის წინადადებები ერთმანეთთან დაკავშირებული (რომელი ლოგიკური მაკავშირებლებია გამოყენებული; რთული წინადადებების რა ფორმებია გამოყენებული - რთული თანწყობა, თუ რთული ქვეწყობა).

ტექსტური სტრუქტურა:

9. რა ინტერაქციული წესებია გამოყენებული (აკონტროლებს თუ არა მონაწილე სხვების მონაყოლის თანმიმდევრულობას);
10. შესაძლებელია თუ არა კონკრეტული ტექსტის განზოგადება ფართო კონტექსტზე (Fairclough, 1989, გვ. 111).

უილიამ საფრანი ენის ფაქტორს უკავშირებს რელიგიისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართებას და თავის სტატიაში (Safran, 2008) საუბრობს ენის როლსა და მნიშვნელობაზე ერის, როგორც რელიგიური და ნაციონალიზმის ელემენტებით გაჯერებულ ფენომენისა, რომელსაც აქვს მშობლიური ენა.

ისტორიულად, ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება ხდებოდა რელიგიაზე დაყრდნობით. თავის მხრივ, რელიგია და რელიგური იდენტობა ყალიბდებოდა ამავე საზოგადოების ენით გამოხატულ ნარატივებში (მაგ: ბაღავატ-გიტა, როგორც ჰინდის ენა, ლუთერის მიერ

ბიბლიის გერმანულად თარგმნა, არის არსებითი ფაქტორი გერმანელი ერის ჩამოყალიბებაში და სხვ.). ენასა და ეროვნებას შორის არსებობს ძლიერი კავშირი, რასაც ყველაზე კარგად გამოხატავს საზოგადოების არსი, რომ თითოეული საზოგადოება აზროვნებს და მეტყველებს მშობლიურ ენაზე (Safran, 2008, გვ.171).

თავდაპირველად, წავიკითხე დოკუმენტური მასალა, მოვახდინე მონაცემების კოდირება-კატეგორიზება: გამოვყავი მნიშვნელოვანი თემები და მივანიჭე შესაბამისი კოდები. შემდეგ შევისწავლე ტექსტის გრამატიკული სტრუქტურა, გამოვყავი ტროპები - სინონიმები, ანტონიმები, მეტაფრები და დავითვალე განმეორებული სიტყვები, ფრაზები და ნაცვალსახელები.

კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა

გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა, ჩემი კვლევა, სამეცნიერო თვალსაზრისით, იქნება ახალი სიტყვა ამ საკითხით დაინტერესებული აუდიტორიისთვის. რადგან კვლევა რელიგიურ ჯგუფებში ჩართული დისკუსანტების სოციალურ ქსელში თვითპრეზენტაციას, ასევე ქართულ რეალობაში რელიგიასა და ნაციონალიზმს შორის არსებულ ურთიერთმიმართებებს შეისწავლის, ვფიქრობ, ნაშრომში წამოჭრილი საკითხები და მონაცემების ანალიზი საინტერესო და ამასთანავე მნიშვნელოვანი იქნება სტუდენტებისთვის, მკვლევარებისთვის და ზოგადად, რელიგიური ჯგუფების ანალიზით დაინტერესებული ადამიანებისთვის.

პრაქტიკული თვალსაზრისით, კი ნაშრომი მნიშვნელოვანია, რადგან ის საქართველოში რელიგიასა და ეროვნულობის ურთიერთმიმართების/ურთიერთდამოკიდებულების ილუსტრირებას ახდენს ისეთი სეკულარული სივრცის მაგალითზე, როგორიც სოციალური ქსელებია და აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება უბიძგებდეს რელიგიურ-ნაციონალისტური სენტიმენტების გაღვიძებას თუნდაც ამ სივრცეში არსებული, ერთი შეხედვით, „უვნებელი" დისკურსები.

კვლევის შეზღუდვები

კვლევა მართლმადიდებლური ჯგუფების თვითპრეზენტაციის დისკურსის კრიტიკულ ანალიზს ეყრდნობა. სოციალური ქსელის ოთხი თემატური ჯგუფის პოსტებზე დაყრდნობით მიღებული კვლევის შედეგებს ვერ განვაზოგადებ ყველა მართლმადიდებლურ ჯგუფზე.

თავი 1. თეორიული ნაწილი

1.1 რელიგიასა და ნაციონალიზმს შორის ურთიერთმიმართება

როჯერს ბრუბეიკერის მიხედვით (Brubaker, 2012), რელიგიასა და ნაციონალიზმს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებების შესწავლის ოთხი მოდგომა არსებობს:

1. რელიგიისა და ნაციონალიზმის, ეთნიკურობისა და რასის მსგავსად, ანალოგიურ ფენომენებად განხილვა;
2. რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შესწავლის საშუალება;
3. რელიგია, როგორც ნაციონალიზმი (რელიგიის მიჩნევა ნაციონალიზმის ნაწილად);
4. ნაციონალიზმი, როგორც რელიგის ერთ-ერთი ფორმა.

1.2 რელიგიისა და ნაციონალიზმის ანალოგიურ ფენომენებად განხილვა

რელიგია და ნაციონალიზმი დიდი ხანია საკამათო ცნებებია. საყოველთად არის აღიარებული, რომ ორივე ტერმინი აღნიშნავს ფართო და მრავალგანზომილებიან ფენომენს. რელიგიისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების განხილვისას, ავტორთა ნაწილი ნაციონალიზმს სეკულარულობას, სხვები კი - რელიგიურ ბუნებას მიაწერენ; ზოგისთვის ნაციონალიზმი წარმოიშვა რელიგიის უარყოფის შედეგად, ზოგისთვის კი, პირიქით, მაშინ, როდესაც საზოგადოებამ რელიგიურობის აღმავლობა განიცადა.

პირველი მიდგომა, რელიგიასა და ნაციონალიზმს ანალოგიურ ფენომენებად განიხილავს. აქ ავტორი მოიხმობს კარლტონ ჰეისს, რომლის მიხედვითაც, „ნაციონალიზმის ცნება აერთიანებს ღრმა, ძლიერ გრძნობებს, რაც არსებითად რელიგიურია. სხვა რელიგიების მსგავსად, ნაციონალიზმი ზებუნებრივის რწმენასა და გარე ძალების მოქმედებას აღიარებს“ (Brubaker, 2012, გვ.3) ჰეისი ირწმუნება, რომ ნაციონალიზმს ჰყავს თავისი „ღმერთი“-

მშობლიური წინაპარი, ეს არის ერის წარსულისა და სამარადჟამო მომავლის ერთგვარი „გამითოსება.“

ენტონი სმიტი კი გვთავაზობს უფრო სისტემატიზებულ მოსაზრებას ნაციონალიზმისა, როგორც „ადამიანების ახალი რელიგიისა.“ (Brubaker, 2012, გვ.3) მისი აზრით, რელიგია - ეს არის ადამიანების შემაკავშირებელი ფენომენი თავისი განმეორებადი რიტუალებით და კოლექტიური ენთუზიაზმით. სმიტი მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმი რელიგიაა როგორც სუბსტანციური მოსაზრებით, რომელიც ბადებს კითხვებს ადამიანების ცხონება/არცხონებაზე, ასევე ფუნქციონალური აზრით - იგი აერიანებს რწმენათა სისტემას და პრაქტიკებს, რაც ერთმანეთისაგან განასხვავებს საკრალურსა და პროფანულს, აერთიანებს რა მის მომხრეებს და მიმდევრებს ერთ თემში/საზოგადოებაში. ამ ახალ რელიგიაში, სადაც გაერთიანებულია პარალელები და კონკურენცია ტრადიციულ რელიგიასთან, თავგანწირვა არის ფუნქციონალური ეკვივალენტი სიწმინდისა/ხელშეუხებლობისა. ეროვნული გმირები და გენიები, რომლებიც საკუთარ თავს მსხვერპლად სწირავენ საკუთარი თანამოძმეებისათის, ასოცირდებიან წმინდანებთან და მესიასთან; წარსული გამოცდილება და კოლექტიური მეხსიერება, სადაც მათი ლეგენდარული გმირობები ცოცხლობს, არის იმქვეყნიურობის განსახიერება. ეს არის ნაციონალიზმის რელიგიურობის ხარისხი, ემოციური პოტენციალი და ლოიალურობა.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე, ბრუბეიკერი გვთავაზობს ნაციონალიზმისა და რელიგიის ანალოგიურ ფენომენებად განხილვის ალტერნატიულ სტრატეგიას. იგი გვთავაზობს, რომ ეს ანალოგია განვიხილოთ, როგორც:

1. იდენტიფიკაციის მოდელი;
2. სოციალური ორგანიზაციის მოდელი;
3. პოლიტიკური მოტივების განმსაზღვრელი მოდელი.

ეთნიკურობა და ნაციონალიზმი სოციალური და კულტურული იდენტიფიკაციის ძირითად რესურსად არის განსაზღვრული. ეს არის საშუალება, წარადგინო ინდივიდი შენიანად, ან პირიქით, სხვად. სოციალური სამყაროს ხედვისა და ყოფიერების პრინციპის

თანახმად, თუ მოვიხმობთ ბურდიეს, რელიგია იძლევა საშუალებას, კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებს დავარქვათ სახელი და მოვახდინოთ მათი იდენტიფიცირება.

მეორე მოდელის მიხედვით, რელიგია, ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის მსგავსად, შეიძლება გავიგოთ, როგორც სოციალური ურთირთობების განმსაზღვრელი და მაორგანიზებელი ინსტიტუტი. რელიგიას, ეთნიკურობას და ნაციონალიზმს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ სოციალური სეგმენტაციისაკენ მიდრეკილი სოციალური ურთიერთობები.

პოლიტიკის კუთხით თუ შევხედავთ ამ საკითხს, რელიგიის სახელით გაკეთებული განაცხადები/მოთხოვნები, შეიძლება ჩაითვალოს რასის ან ეროვნულობის სახელით გაკეთებული მოთხოვნების ანალოგიად. ეს მოთხოვნები კიდევ უფრო ძლიერდება, თუ იგი გამოწვეულია ეკონომიკური, პოლიტიკური რეპრეზენტაციების და/ან კულტურული რეპროდუცირების ნიადაგზე. ეს მოთხოვნები ეფუძვნება ეთნო-რელიგიურ, ეთნო-ნაციონალურ, ეთნო-რეგიონალურ და ეთნო-კულტურულ იდენტიფიკაციებს, რომელიც განსაკუთრებით გაიზარდა როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ სამყაროში. რა თქმა უნდა, პოლიტიზებული რელიგია იყენებს ამ მოთხოვნებსა და განცხადებებს, რათა რესტრუქტურიზაცია გაუკეთოს საჯარო ცხოვრებას რელიგიური პრინციპების შესაბამისად (Brubaker, 2012, გვ. 3-5).

1.3 რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შესწავლის საშუალება

რელიგიასა და ნაციონალიზმს შორი არსებული ურთიერთკავშირის ანალიზის მეორე საფეხური არის სპეციფიკური საშუალებების ძიება, რის მეშვეობითაც რელიგია დაგვეხმარება ნაციონალიზმის შესწავლაში/ახსნაში. არსებულ ლიტერატურათა უმრავლესობა ფოკუსირდება კონკრეტულ შემთხვევებზე, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული რელიგიური ტრადიციების მიერ ჩამოყალიბებული ნაცონალიზმის ფორმების კვლევის საშუალებებს. მაგალითად, მეცნიერებმა შეისწავლეს ინგლისურ ნაციონალიზმზე პურიტანიზმის გავლენა, გერმანულ ნაციონალიზმზე - პიერიზმისა,

პოლონურ ნაციონალიზმზე - კათოლიციზმისა, ბალკანურ ნაციონალიზმზე - მართლმადიდებლობისა, ხოლო იაპონურ ნაციონალიზმზე - სინტოიზმისა.

რელიგია ხელს უწყობს ნაციონალიზმის განვითარებას პირდაპირი გზით, როდესაც რელიგიურ სიმბოლოებსა და ნარატივებს შეუსაბამებს პოლიტიკას; ასევე მაშინაც, როდესაც ნაციონალიზმის განვითარებამ პროტესტანტულ რეფორმას და „კონფესიონალიზაციის“ პროცესს შეუწყო ხელი შემდეგი სამი ფორმით:

1. სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობების ახლებურად წარმართვით;
2. მშობლიურ ენაზე ცოდნის მიღების ხელშეწყობით;
3. სახელწიფო მმართველობისა და კულტურის ერთმანეთთან დაახლოებით.

რელიგიური საზოგადოების ინსტიტუციონალიზაციისა და წარმოდგენის ახალი საშუალებები პოლიტიკური საზოგადოების ფორმების გარდაქმნით წახალისდა. რელიგიური ერთობის წარმოდგენის ახალ საშუალებებს აქვს პირდაპირი კავშირი „ერის,“ როგორც არადიფერენცირებული და თანასწორი საზოგადოების გაგებისას/განსაზღვრებისას, რომელსაც ცალკული ინდივიდები მიეკუთნებიან.

მშობლიურ ენაზე ცოდნის მიღების ხელშეწყობამ ხელი შეუწყო „წარმოსახვითი ერის” (ბენედიქტ ანდერსონი, 1983) ჩამოყალიბებას ენის/დიალოგების საშუალებით. აქ იგულისხმება საზოგადოების მიერ ეროვნული სენტიმენტების ლიტერატურის გაცნობა და ამ ლიტერატურული მასალის მიღება. ავტორს მაგალითად მოჰყავს კონფუციანელობა და ამბობს, რომ იგი იწვევს პოლიტიკისა და რელიგიის აღრევას, პოლიტიკურ კონტროლს დაქვემდებარებული ადგილობრივი ეკლესიების გზით (Brubaker, 2012, გვ.7)

ნაციონალიზმის კიდევ ერთი თანამედროვე ავტორი ბენედიქტ ანდერსონის აზრით (Anderson, 1983, გვ. 46), ერი ეს არის „წარმოსახვითი ერთობლიობა“. ნაციონალიზმი კი არის გამოგონება, შექმნა ერისა, რომელიც ადრე არ არსებობდა. ანდერსონის აზრით, ბეჭდვამ, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური წარმატება იყო კაპიტალისტურ ეპოქაში, განსაზღვრა საერთო ენის მქონე ადამიანებში ბიუროკრატიული აპარატი. ამ

კომბინაციამ თავის მხრივ განაპირობა წარმოსახვითი ერთობლიობის შექმნა და ერი - სახელმწიფოს დაბადება. წიგნიერების გაზრდის შემდეგ ადამიანები კითხულობდნენ საკუთარ ეროვნულობაზე წიგნებსა და გაზეთებში. ამგვარად, გაადვილდა საჯარო მხარდაჭერის მოპოვება და ადამიანების გაერთიანება (Rieffer, 2003, გვ. 221).

ენასა და ეროვნებას შორის კავშირს ყველაზე კარგად გამოხატავს საზოგადოების არსი, რომლის მიხედვითაც თითოეული საზოგადოება აზროვნებს და მეტყვეებს მშობლიურ ენაზე. პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრობს ორი დომინანტური ეთნიკური ჯგუფი სხვადასხვა რელიგიით (Saffran, 2008).

ამგვარად, რელიგია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნაციონალიზმის წარმოშობისა და განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მოსაზრებას ჰყავს მოწინააღმდეგეებიც და ისინი ამბობენ, რომ ნაციონალიზმი რელიგიის ანტითეზისია. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ნაციონალიზმი ეწინააღმდეგება რელიგიურ მოსაზრებებს, მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც კი, თუ გავიხსენებთ საფრანგეთის რევოლუციას, ნაციონალიზმი შეიძლება მივიჩნიოთ რელიგიურად, რადგან იგი ასრულებს რელიგიის ფუქციას და იღებს რელიგიის ფორმას. უფრო მეტიც, ადრეული ფორმები ნაციონალიზმისა ამოიზარდა ინტენსიური და ძლიერი რელიგიურობის ფონზე (Brubaker, 2012, გვ. 3-5).

1.4 რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შემადგენელი ნაწილი

ანალიზის მესამე ნაწილი რელიგიას განიხილავს არა ნაიცონალიზმის მიღმა არსებულ, არამედ მის წიაღში წარმოშობილ ფენომენად. ამ მოსაზრების დასადასტურებლად ავტორი განიხილავს ერს, როგორც კონკრეტული რელიგიის მიმდევარი ადამიანების ერთობლიობას (მაგ: ებრაული ნაციონალიზმი), და რელიგიის საზღვრებს, რომელიც არის ნაციონალიზმის საზღვრების შიგნით, სადაც ასევე სხვა რელიგიური ერთობის წარმომადგენლებიც ცხოვრობენ (მაგ: ჩრდ. ირლანდია). ანალიზის ამ ნაწილში რელიგია

არ უდგენს ეროვნებას საზღვარს, სამაგიეროდ, ის გვთავაზობს მითს, მეტაფორებსა და სიმბოლოებს, რაც არის ერის ხატისა და დისკურსის რეპრეზენტაცია. აქ მნიშვნელოვანი კითხვაა არა ის, თუ -„ვინ არის ჩვენიანი“, არამედ ის, თუ - „ვინ ვართ ჩვენ“; ასევე ის, თუ რა არის ერის ისტორიაში, ერის იდენტობასა და ერის მისიაში მნიშნელოვანი/გადამწყვეტი.

ასევე აღსანიშნავია გიგი თევზაძის განსაზღვრება ნაციონალიზმის შესახებ: ნაციონალიზმი, უფრო სწორედ, იდეა ნაციათა შესახებ - არის არტეფაქტი და მისი წარმომავლობა დაკავშირებულია სპეციფიკურ სოციოკულტურულ და კულტურულ-ისტორიულ განვითარებასთან. მწვავე ნაციონალიზმი ეფუძნება ისტორიულ ინტერპრეტაციას და ისწრაფვის ისტორიის გარკვეული პერიოდების მითოლოგიზაციისაკენ (Tevzadze, 2010, გვ. 8).

ქრისტიანულ კონტექსტს თუ განვიხილავთ, ეროვნულობა არის რელიგიის „უპირატესობის“ ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ქვეყანას განზრახული აქვს, დაამყაროს კონტორლი ეკლესიის საქმიანობაზე. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ სამხ-დას. ევროპაში ქრისტიანობის ნაციონალიზაციამ გამოიწვია დასავლეთის ქრისტიანობის ფრაგმენტაცია ეროვნული ეკლესიებისათვის ავტოკეფალიების მინიჭების სერიების სახით. შედეგად, გაიღო ინსტიტუციური ჩარჩო ნაციონალისტური მოსაზრებებისათვის.

რელიგიის ნაციონალიზაცია გულისხმობს კულტურული მრავალფეროვნების რელიგიასთან მიმართების საკითხსაც, სხვადასხვა სახელმწიფოს და ეროვნული კონტექსტის მაგალითზე. მაგალითად, ქრისტიანობამ, ისლამისგან განსხვავებით, საერთო საკრალური ენა ვერ დაადგინა, თუმცა სათავე დაუდო რელიგიური წიგნების თარგმანებს (Brubaker, 2012, გვ. 6-8).

1.4 ნაციონალიზმი, როგორც რელიგიის ერთ-ერთი ფორმა

ანალიზის ამ ნაწილში მნიშვნელოვანია ყურადღების იმაზე გამახვილება, რომ ნაციონალისტური რიტორიკა შეიძლება იყოს ფორმირებული რელიგიური ენით. არ არის მარტივი დაადგინო რელიგიურ-ნაციონალური სიმბიოზი ან ინტერპრეტაცია. ავტორის არგუმენტი ეხება არა ნაციონალისტური იდეების რიტორიკულ ფორმას, ან რელიგიის მიერ ენაში განხორციელებულ შეზღუდვებს, საკითხის არსი არის ის, რომ არსებობს ნაციონალიზმის რელიგიური ფორმა, რომელიც არის სეკულარული ნაციონალიზმის პირდაპირი ალტერნატივა.

რელიგიური ნაციონალიზმის იდეა როჯერ ფრიდლენდის (Friedland, 2002) სახელს უკავშირდება. ის განსაზღვრავს ნაციონალიზმს, როგორც სახელმწიფოსთვის კოლექტიურად ფორმირებულ პროგრამას და ტერიტორიულად შემოსაზღვრულ მოსახლეობას, რომელსაც გააჩნია საკუთარი ენა და დისკურსული პრაქტიკები, ასევე, ტერიტორიული და კულტურული იდენტობები.

ფრიდლენდის თანახმად, რელიგიური ნაციონალიზმი გულისხმობს სახელმწიფოს, ტერიტორიების და კულტურის გაერთიანებას, თუმცა, რა ფორმით ხდება გაერთიანება, ავტორი არ აკონკრეტებს. რელიგია გვიყალიბებს „ავტორიტეტის“ მოდელს იმდენად, რამდენადაც რელიგია არის ყოფიერების ყველა ასპექტის „ტოტალური მბრძანებელი.“

რელიგიური ნაციონალიზმი თავის გარშემო აერთიანებს ქვეყნის ტერიტორიებს და კულტურულ ერთეულებს, უმეტესად ოჯახზე, გენდერსა და სექსუალობაზე ფოკუსირებით. იგი მიმართულია ტრადიციული ოჯახის დაცვაზე, რადგან ოჯახი არის სოციალური რეპროდუქციის და მორალური სოციალიზაციის ჩამომყალიბებელი ინსტიტუტი (ეკონომიკური და კულტუტული ინსტიტუტების წინააღმდეგ). ნაციონალიზმი ასევე ფოკუსირდება ტრადიციული გენდერული როლების დაყოფის დადგენასა და სექსუალობის რეგულაციაზე და დასჯადობის წახალისებაზე, იმისათვის, რომ სექსუალობის გამოვლინება მხოლოდ ოჯახებში მოხდეს (Brubaker, 2012, გვ.16).

ამგვარად, რელიგია არეგულირებს და განკარგავს საჯარო და კერძო ცხოვრებას იქამდე, ვიდრე ის პოლიტიკურ დისკურსში გადაიზრდება და რელიგიური იდენტობის პოლიტიკაში ჩართვა მოხდება. მაგალითად, ჩრდ. ირლანდიაში პოლიტიკური პარტიები ხშირად უპირისირდებიან ერთმანეთს რელიგიური მოტივებით, თუმცა კონფლიქტის საგანი, როგორც წესი, არ არის ხოლმე საჯარო ცხოვრების რელიგიური პრინციპების მიხედვით რეგულირება.

ფრიდლენდი რელიგური ნაციონალიზმის გამოხატულებას ამჩნევს აშშ-ს, ინდოეთის, ირანის, ისრაელის, პალესტინის, თურქეთის, ეგვიპტის და პაკისტანის საჯარო ცხოვრებაში. მაშინაც კი, როდესაც ის განიხილავს ქრისტიანულ ფუნდამენტალიზმს, ან ჰინდი ნაციონალიზმს, ავტორი მიმართულია ისლამისტურ მოძრაობებზე, რადგან ის არის რელიგური ნაციონალიზმის გამოხატულების ყველაზე მკვეთრი ფორმა (Brubaker, 2012, გვ. 12-15).

რელიგიასა და ნაციონალიზმს შორის ურთიერთობა არის განსაკუთრებით ყურადსაღები თანამედროვე დროში. მას შემდეგ, რაც მსოფლიომ ნახა რელიგიის აღორძინება და მას შემდეგ, რაც ბევრ ნაციონალისტურ მოძრაობას, მე-20 საუკუნეში ჰქონდა რელიგიის ელემენტები შეთვისებული, საჭიროა ამ პროცესების საზოგადოებრივი გავლენების შეფასება (Rieffer, 2003, გვ. 216).

დაბოლოს, ბრუბეიკერი გვთავაზობს რელიგიურობასა და რელიგიურ ნაციონალიზმს შორის სხვაობას - რელიგიური მოძრაობები, რაც საჯარო ცხოვრების ტრანფორმირებას უწყობს ხელს, არ გადაიქცევა ნაციონალისტურ რელიგიად მხოლოდ იმით, რომ ის ერ-სახელმწიფოში მოქმედებს/არსებობს. ბრუბეიკერი ირწმუნება, რომ არც ერთი ნაციონალისტური მოძრაობა არ გადაქცეულა რელიგიურობის სპეციფიკურ ფორმად რელიგიური სიმბოლოების განვითარებით, რელიგიური ტრადიციების აღზევებით, ან რელიგიური ნიშნით ქვეყანაში ადამიანების წევრად მიღებით (Brubaker, 2012, გვ. 16-17).

რელიგიისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების მართლმადიდებლური ნარატივები

1.5 ქართული ნარატივი

თუ გავიხსენებთ ქართული სახელმწიფოს განვითარების ისტორიას, რელიგიამ მართლაც მნიშვნელოვნად განაპირობა მისი იდენტობის ჩამოყალიბება და განვითარების ტრაექტორია, რაშიც ენის ფაქტორმა მნიშვნელოვან როლი შეასრულა. ერის „სულიერ მამად“ წოდებულმა ილია ჭავჭავაძემ ქრისტიანობისა და ენის ფუნქციასთან დაკავშირებით შექმნა ტრიადა: *„ენა, მამული, სარწმუნოება“*. ასევე, ილიას ეკუთვნის სიტყვები: *„ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება... ქრისტიანობა ნიშნავდა მთელს საქართველოს... ნიშნავდა ქართველობას... ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან,“* სადაც კარგად ჩანს, თუ რამდენად არის დაკავშირებული რელიგია ჩვენს საზოგადოებაში ეროვნულ იდენტობასთან.

რელიგიის როლსა და ნიშნელობაზე საუბრობს სილვია სერანო სტატიაში „ეროვნული სივრცის დე-სეკულარიზაცია საქართველოში“ (Serrano, 2010). იგი იმოწმებს პიერ ნორას (Nora, 2006) და განმარტავს ტერმინს - სივრცე. ტერმინი გამოიყენება ისტორიული და გეოგრაფიული მნიშვნელობით. ეს არის შემოსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ვრცელდება ძალაუფლება. ტერმინის მეორე დატვირთვის მიხედვით, იგი უკავშირდება ეროვნულ იდენტობას. ქართულ რეალობასთან დაკავშირებისას, აღსანიშნავია, რომ პოსტ-საბჭოთა საქათველოში საჯარო სივრცის ფორმირებისთვის მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტი არ არის განმსაზღვრელი, ძალიან დიდ როლს თამაშობს ეკლესია - საქართველოში საჯარო სივრცე, შეიძლება ითქვას რომ სუნთავს რელიგიური სიმბოლოებით. სახელმწიფო ტერიტორიის ფორმირების ეს ნარატივი არის კარგი საშუალება დასაკვირვებლად, რადგან იკვეთება სოციალური და პოლიტიკური რესტრუქტურიზაციისას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული ურთიერთობები.

საქართველოში ქრისტიანული სამლოცველოს აშენებისას, მდებარეობა არის ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორი. ხშირად ეკლესია აშენებული მთის წვერზე. დღეს, ეს არის ერთგვარი გამოხატულება ქართული მიწისთვის ქრისტიანობის მნიშვნელობისა/როლისა. როდესაც ვარკეთილში მრევლმა მოითხოვა მიწის გამოყოფა ეკლესიის ასაშენებლად, მათ არ მოეწონათ მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, რადგან მთავარი გზიდან მოშორებული იყო და ყველასთვის შესამჩნევი არ იქნებოდა ეკლესია. მრევლის ნაწილი მოელაპარაკა ავტორიტეტულ პირებს და საბოლოოდ ეკლესია აშენდა გზების შუა წელზე, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს მათთვის თანხმობა არ მიუცია (Serrano, 2010, გვ.2).

სტატიაში სერანო ასევე საუბრობს საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პრობლემებზე. მისი აზრით, ეს საკითხები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც არ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი. ქვეყნის მასშტაბით ეკლესიები მუდმივად შენდება, ხშირად ძნელად მისადგომ ადგილებში, იმის მიუხედავად, ეყოლება თუ არა ეკლესიას მრევლი. საქართველოში ვინც არ უნდა ცხოვრობდეს უნდა იცოდეს, რომ ეს ქრისტიანების მიწაა. რამდენიმე ეკლესია აშენდა ქვემო ქართლში, მარნეულში და წითელ ხიდთან. აჭარაში აშენდა 14 ეკლესია, რომელთაგან ზოგიერთი მხოლოდ თურქეთის ტერიტორიიდან მოჩანს. სარფის საბაჟოსთან ახლოს რამდენიმე ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა, ეს იქ, სადაც საზღვრის მიღმა რამდენიმე მეჩეთი დგას. ეკლესიები იმგვარად არის განლაგებული, რომ საზღვარი/მისი გადაკვეთა აღნიშნავს არა მხოლოდ საქარვთველოში შესვლას, არამედ ქრისტიანულ მიწაზე ფეხის დადგმას (Serrano, 2010, გვ. 2)

1990-იან წლებში, მაშინ როდესაც მართლმადიდებლები მუსლიმ ქართველებს აქეზებდნენ „ჭეშმარიტი რწმენის“ ძიებისაკენ, გამუდმებით ხდებოდა ინცინდენტები/კონფლიქტები. 2004 წელს რელიგიურ ნიადაგზე მოხდა ინცინდენტი ქვემო ქართლსა და ჯავახეთში არაქართველ და ქართველ მოსახლეობას შორის. საქმეში ჩაერთო პოლიცია, რათა აღეკვეთა ეთნიკური დაპრირისპირება.

სილვია სერანო აღნიშნავს, რომ ეკლესია ვერ დაადგენს სახელმწიფო საზღვრებს (Serrano, 2010, გვ. 3). 2006 წელს სომხეთის სამოციქულო ეკესიამ გააპროტესტა საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სინოდის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღედგინა დმანისისა და აგარის ისტორიული ეპარქია, რომელიც ჩრდილო სომხეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. 2008 წლის დეკემბერში სომხური ეკლესიების მიმართ სამაგიეროს გადახდის მიზნით, ქართველმა მართლმადიდებელმა აქტივისტებმა სომხეთის საელჩოსთან გამართეს აქცია სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ეკლესია მონასტრების კანონიერად დაბრუნების მიზნით. ასეთივე დისკურსი ისმის თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე უძველესი ქართული ეკლესია-მონასტრების მიმართ. ქართულ საზოგადოებაში ეკლესია ქვეყნის ტერიტორიებთან დაკავშირებით ქმნის განსხვავებულ რეალობას. ისინი საქართველოს მიაკუთვნებენ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ქართულ სახელმწიფოს მე-10, მე-13 საუკუნეებში ეკუთვნოდა, თუმცა ეს წარსულში არის დარჩენილი და დღევანდელ რეალობასთან არაფერი აქვს საერთო (Serrano, 2010, გვ. 3).

სერანო ასევე საუბრობს საქართველოში რელიგიურ უმცირესობების პრობლემაზე, რომ საპაქრიარქო მათ სამლოცველოების აშენების დროს უქმნის. ერთ-ერთი ასეთი ინცინდეტის დროს ისინი რელიგიური ნიშნით ძალადობის მსხვერპლიც კი გახდნენ. მაგალითად, 2005 წელს თავს დაესხნენ ბაფტისტებს, როდესაც ისინი სამლოცველოს აშენებას ცდილობდნენ ზესტაფონში. ამიტომ, რელიგიური უმცირესობები სამლოცველოებს ჩუმად და საიდუმლოდ ხსნიან/აშენებენ. მაგალითად, იეჰოვას მოწმეებმა ააშენეს შენობა, სამლოცველო, თუმცა გარე ფასადზე მოერიდნენ რელიგიური სიმბოლოების გამოყენებას, რადგან ყურადღების მიქცევა არ სურდათ .

რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებთან ასევე აღსანიშნავია სექსუალური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებები. ემი ადამსიკი და კასადი პიტი (Amy Adamczyk, Cassady Pitt, 2009) თავიანთ სტატიაში „კულტურული კონტექსტი და რელიგიის როლი ჰომოსექსუალიზმის ჩამოყალიბებაში“ განიხილავენ საზოგადოების აზრს და დამოკიდებულებს ჰომსექსუალების მიმართ, რომელიც მსოფლიო მასშტაბით,

განსხვავებულია. ხშირად რელიგია განიხილება ერთგვარ პრედიქტორად ამ განწყობა/დამოკიდებულებების განხილვისას. თუმცა, კულტურული ორიენტაციების კროსნაციონალური განსხვავებები გვეუბნება, რომ რელიგიის როლი ჰომოსექსუალთა მიმართ განწყობების ჩამოყალიბებაში, შეიძლება დამოკიდებული იყოს ერის კულტურულ კონტექსტზე. ამისათვის უნდა გავაანალიზოთ, თუ რა როლს ასრულებს კულტურა და რელიგია საჯარო აზრის ჩამოყალიბებაში. მანამ, სანამ საჯარო აზრი იქნება მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და პოლიტიკურ სფეროებში, მან შეიძლება გვითხრას, თუ რატომ აქვს ზოგიერთ ქვეყანას ასეთი ლიბერალური პოლიტიკა, ხოლო სხვები განაგრძობენ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების დასჯას .

დღეისათვის, არადასავლურ ქვეყნებში ჰომოსექსუალთა მიმართ განწყობა-დამოკიდებულებების კვლევის ძალიან ცოტა პრაქტიკა არსებობს. აშშ-ში ჩატარებული კვლევები პირდაპირ მიუთითებს რელიგიაზე, როგორც განწყობების განმაპირობებელ ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფაქტორზე. თუმცა, საინტერესოა ისიც, თუ რა განწყობებია არაქრისტიანულ ქვეყნებში, რაც ჯერ არ არის ფართოდ ნაკვლევი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურმა განვითარებამ და პოლიტიკურმა სტაბილურობამ შეიძლება ასევე ითამაშოს გადამწყვეტი როლი, არანორმატული ჯგუფების მიმართ საჯარო აზრის ფორმირებაში.

რელიგიები ჰომოსექსუალიზმს განიხილავენ, როგორც „არაბუნებრივს“, „უწმინდურს“ და „უღმერთოს.“ ამ ჩარჩოს მიხედვით, რელიგიურ აქტივობებში ჩართვა, რელიგიური ლიტერატურის კითხვა, ხშირი ურთიერთობა რელიგიურ მეგობრებთან არის ანტიჰომოსექსუალური განწყობების ჩამოყალიბების წამახალისებელი ქმედება (Adamczyk, Cassady, 2009).

მაშინ, როდესაც რელიგიურ ადამიანებს, არარელიგიური ადამიანებისაგან განსხვავებით, არამყარი განწყობები აქვთ ჰომოსექსუალების მიმართ, რელიგია თამაშობს მნიშვნელოვნ როლს ჰომოსექსუალიზმის დემონიზაციაში. კვლევებმა ცხადყო, რომ მაშინაც, როდესაც ადამიანი არ არის რელიგიური, მასზე შეიძლება გავლენა იქონიოს იმ რელიგიურმა

კულტურამ, რომელშიც ის ცხოვრობს (Adamczyk and Felson 2006). ამ კვლევაზე დაყრდნობით, ავტორმა ჩამოაყალიბა სამი ჰიპოთეზა, ჰომოსექსუალიზმის შესახებ საჯარო აზრის ჩამოყალიბებაზე გავლენის მქონე მიკრო და მაკრო რელიგიურ ფაქტორებზე:

- იმ საზოგადოებებში, სადაც რელიგიური განწობები მაღალია, ნაკლებად რელიგიური საზოგადოებებისგან განსხვავებით, არის მკვეთრად გმოხატული უარყოფითი დამოკიდებულება და ნაკლები შემწყნარებლობა ჰომოსექსუალების მიმართ.
- ყველა რელიგიურ საზოგადოებას შორის ყველაზე უარყოფითი დამოკიდებულება ჰომოსექსუალთა მიმართ აქვთ მუსლიმებს.
- ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ქვეყნებში, სადაც უმრავლესობა მოსახლეობისა არის მუსლიმები, არიან უფრო შეუწყნარებლები ჰომოსექსუალების მიმართ, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ქვეყნებში, სადაც მუსლიმები ქვეყნის მოსახლეობის უმცირესობაა.

პერსონალური რელიგიურობის კვალდაკვალ, რელიგიურმა გრძნობებმა, და ეროვნულმა რელიგიურმა კულტურამ, ასევე ინდუსტრიალიზაციის დონემ ქვეყნის მოსახლეობაში, შეიძლება ხელი შეუწყოს ტოლერანტული გრძნობების და დამოკიდებულებების ჩამოყალიებებას არაკონვენციური ჯგუფების და იდეების მიმართ. 65 ქვეყნის მონაცემების შესწავლისას, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 75%-ია, რონალდ ინგლეჰართმა და მისმა კოლეგებმა გამოავლინეს კავშირი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და განწობების ცვლილებაში (Inglehart et al., 2002).

რელიგიის თანამედროვე კვლევები (Stark and Finke, 2000) ცხადყოფს, რომ ინდუსტრიალიზაცია და ქვეყნის განვითარება აუცილებლად არ იწვევს ადამიანებში რელიგურობის დაქვეითებას. უფრო მეტიც, ეროვნული რელიგიური ტრადიციები და პერსონალური რელიგიური რწმენები აგრძელებს გავლენის მოხდენას განვითარებულ ქვეყნებში ადამიანების განწყობებზე და ქცევებზე (Adamczyk, Pitt, 2009, გვ. 338-339).

დღეს, რელიგიური მეწამსის ნებაყოფლობითი აღიარება თანამედროვე აზროვნების მზარდი ტენდენციაა. ჩვენი თანამედროვე ყოფიერების ძირითადი მახასიათებელი,

პლურალიზმი, გახდა გლობალური ფენომენი. ურბანიზაცია, მასობრიცი მიგრაცია, განათლების ხელმისაწვდომობა და უმაღლესი განათლება, მედია და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები - ამ ყველაფერმა ალტერნატიული რელიგიების არჩევა შესაძლებელი/ხელმისაწვდომი გახადა. რელიგია ამგვარად გახდა ინდივიდუალური არჩევანი სფერო. ადამიანებს მათი სურვილის მიხედვით შეუძლიათ გახდნენ მართლმადიდებლები, ფუნდამენტალისტები - ეს მხოლოდ მათი არჩევანია (Ammerman, 2007, გვ.).

მიუხედავად აღნიშნული ტენდენციისა, საქართველოში ახალშობილთა გაქრისტიანება ერთგვარი წესია. ახალშობილთა მონათვლას კიდევ უფრო შეუწყო ხელი ერის სულიერი წინამძღვრის, პატრიარქ ილია II -ის ინიციატივამ, რომლის მიხედვითაც, ოჯახში ყოველი მე-3 და შემდეგ ბავშვს პატრიარქი მონათლავდა. პატრიარქის ეს ინიციატივა მიზნად ისახავდა არა მარტო ახალშობილთა გაქრისტიანებას, არამედ მართლმადიდებლურ ოჯახებში შვილების რაოდენობის ზრდას. დღეისათვის პაქრიარქის ნათლულებიც რაოდენობა ათობით ათასს აღწევს, რაც სავარაუდოა, რომ მომავალში, მასობრივი ნათლობის შემდგომი ეტაპების განხორციელებისას კიდევ უფრო გაიზრდება.

1.6 ბალკანური ნარატივი

ლუჩიან ლოსტინი თავის სტატიაში „მართლმადიდებლობა და პოლიტიკური მითი ბალკანური ერების იდენტობაში“ (Leustean, 2008), საუბრობს ბაკლანურ ეროვნულ იდენტობასა და რეგიონის დოინანტურ რელიგიას, აღმ. ქრისტიანულ მართლმადიდებლობას, შორის მიმართებაზე. ავტორის აზრით, პოლიტიკური მითი, რაც მართლმადიდებლობის საფუძველზე წარმოიშვა, არის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი მითი ბალკანურ მითოსურ წარმოდგენაში. ეს მითი ბალკანურმა მართლმადიდებელმა სახელმწიფოებმა შექმნეს იმის დასტურად, რომ მართლმადიდებელი რელიგიური დოქტრინის ელემენტები, მიუხედავად ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური სხვაობისა, მთელი რეგიონისთვის არის მისაღები (Leustean, 2008, გვ. 421).

ბალკანურ მითოსურ წარმოდგენაში არსებობს საკრალური ისტორიული პერიოდები. მართლმადიდებელი ეკლესია ირწმუნება, რომ მხოლოდ ქრისტიანობამ განაპირობა მათი საზოგადოების დაწინაურება და ისტორია არის ამ ფაქტის მოწმე. ამის დამადასტურებლად მათ მოჰყავთ ბიზანტიის იმპერია, რომელიც მათი სულიერი და პოლიტიკური ზეობის ეპოქას წარმოადგენდა.

ბალკანური მართლმადიდებლობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას ახასიათებს „სიმფონიურად." ჯონ მეგანდორფის აზრით, ბიზანტიის იმპერიის მიზანი იყო სრულიად სამყაროს გაქრისტიანება, რომელიც იმპერიის ქვეშ გაერთიანდებოდა და რომლის სულიერი წინამძღვარი იქნებოდა მართლმადიდებელი ეკლესია. მათი აზრით, იმპერიას უნდა ეარსება სამუდამოდ, და მისი რელიგურ-პოლიტიკური დომინანტურობა იქნებოდა უკონკურენტო, რადგან ბიზანტიის იმპერია „ქრისიტანთა სამეფო" იყო (Leustean, 2008, გვ. 422).

ამ ისტორიული ნარატივის მიხედვით, ნათელია, რომ პოლიტიკოსები უპირატესობის მოსაპოვებლად და ერთიანობის მისაღწევად, იყენებდნენ ქრისტიანობას, მისი ნაციონალისტური ხასიათის გამო (Leustean, 2008, გვ.423).

ბალკანურ ქვეყნებში ეკლესია სახელმწიფო სტრუქტურების პოლიტიკურ გარდაქმნას მიიჩნევს საზოგადოების წინაშე ჩადენილ ცოდვად, რადგან ქრისტიანობის თანახმად, მატერიალური სამყაროს შექმნისას ღმერთს არ შეუქმნია არცერთი პოლიტიკური ინსიტუტი, ეს ადამიანებმა შექმნეს საკუთარი მატერიალური და არა სულიერი წარმატებისათვის. ამ მიზეზით, ეკლესია მიიჩნევს, რომ პოლიტიკურმა ლიდერებმა უნდა ითანამშრომლონ ეკლესიასთან იმისათვის, რომ იხსნან საკუთარი თავებიცა და სრულიად ერიც. ამგვარად, მანამ, სანამ ბალკანურ ერებს ემახსოვრებათ თავიანთი „მითოსური წარსული" და გაახსენდებათ საკუთარი ქვეყნის ისტორიული წარსულის სიდიადე, პოლიტიკური მითი იქონიებს გავლენას თანამედროვე პოლიტიკურ მმართველობაზე (Leustean, 2008, გვ. 424).

ამგვარად, აღმოსავლეთ მართლმადიდებელი ეკლესია ქრისტიანობას განიხილავს „ღმერთის საუფლოდ," ხოლო პოლიტიკას, როგორც უზენაესის ნების აღმასრულებელს დედამიწაზე. ეკლესია, ერის განვითარების საკითხში, საკუთარ თავს მიიჩნევს ფუნდამენტურად. ეკლესია არის ადგილი ერისა, სადაც პოლიტიკური და რელიგიური მმათველები მოქმედებენ ერთობლივად, საერთო მიზნის მიღწევისათვის (Leustean, 2008, გვ. 431).

1.7 რუმინული ნარატივი

რუმინული მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქვეყნის პოლიტიკის ურთიერთმიმართებას განიხილავენ ლავინია სტანი და ლუჩიან ტურცესკო სტატიაში: „პოლიტიკა, ეროვნული სიმბოლოები და რუმინული მართლმადიდებელი ეკლესია" (Stan & Turcescu, 2006).

რუმინეთში მართლმადიდებელი ეკლესია არის მკვეთრად გამოხატული დომინანტური აღმსარებლობა, რომელიც სხვა დენომინაციებთან შედარებით უპირეტესობებითა და გავლენით სარგებლობს და მეტად არის დაახლოებული პოლიტიკურ მმართველობას. რუმინული მართლმადიდებელი ეკლესია გამოირჩევა ცივილიზებული სახელმწიფოს მშენებლობის საწინააღმდეგოდ გამოთქმული მოსაზრებებით. კომუნისტური რეჟიმის ჩამოშლის შემდეგ, მართლმადიდებელი ეკლესია რუმინეთს ძლევამოსილი აქტორის როლში მოევლინა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ათი წლის მანძლზე ეკლესია თანამშრომლობდა რეპრესიულ რეჟიმთან, საკუთარ თავს მაინც ეროვნული მოძრაობის გადარჩენის სათავეში განიხილავს. ამ მოსაზრების ფართოდ გავრცელებამ გაზარდა მისი ისტორიული მნიშვნელობა, მიმდევართა რაოდენობა, რელიგიურობის მაჩვენებელი, ხოლო პოლიტიკური წრეების მიერ მიენიჭა საჯარო სკოლებში, ციხეებში, საავადმყოფოებსა და სამხედრო ნაწილებზე წვდომის უპირეტესობა. უფრო მეტიც,

ეკლესიამ წამოიწყო აგრესიული კამპანია სახელმწიფო რელიგიად აღიარების მოთხოვნით, იმ ფონზე, როდესაც რუმინეთი არის რელიგიურად მრავალფეროვანი ქვეყანა (Stan & Turcescu, 2006, გვ. 1119-1120).

რუმინულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ერის ხსნის მოტივით, დიდი ხნის მანძილზე აწარმოა მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან, ბუქარესტის ცენტრში ადგილის გამოყოფის და ტაძრის აშენების მოთხოვნით. ეს ფაქტი კარგად ასახავს პოლიტიკასა და დომინანტ რელიგიას შორის ურთიერთმიმართებას. და ეს ხდება მაშინ, როდესაც მრავალფეროვანი სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფები ითხოვენ საჯარო სივრცეების დადგენას/განსაზღვრას და ქვეყნის ახალ დემოკრატიას. რუმინული ეკლესია არის ~~ჯარგი~~ ნათელი მაგალითი, თუ როგორ იყენებს რელიგია ქვეყნის უახლეს წარსულს, რათა გავლენა იქონიოს თანამედროვე პოლიტიკაზე (Stan & Turcescu, 2006, გვ. 1119).

დღეს რუმინეთი ევროპაში აღიარებულია რელიგიურად ყველაზე მრავალფეროვან ქვეყნად, რომელიც ასევე მიჩნეულია ერთ-ერთ ნაკლებად შემწყნარებელ ერად სხვა აღმსარებლობების მიმართ. ქვეყნის ფარგლებში ოფიციალურად არსებობს 17 რელიგიური მიმდინარეობა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანია მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც სარგებლობს ქვეყნის ავტორიტეტების და საჯარო ინსტიტუტების მხარდაჭერით. ეკლესია არის პრივილეგირებული ასევე მთავრობის მიერ ახალი ტაძრების ასაშენებლად ფინანსების გამოყოფის თვალსაზრისითაც (Stan & Turcescu, 2006, გვ 1123).

თავი 2. ემპირიული ნაწილი

1.1 მართლმადიდებლობა და ქართული ერვნული იდენტობა

თვისებრივი კვლევის მეთოდის - დისკურსის კრიტიკულ ანალიზის გამოყენებით ჩავატარე კვლევა და შვისწავლე მართლმადიდებლური თემატური ჯგუფების თვითპრეზენტაცია სოციალურ ქსელ ფეისბუქში მათ მიერ წარმართულ პოსტებსა და დისკუსიებზე დაყრდნობით. მართლმადიდებლური თემატური ჯგუფის თვითპრეზენტაცია სოციალურ ქსელში არის თავისთავად საინტერესო საგანი საკვლევად, რადგან ამ ჯგუფებს შესწევთ უნარი რეალურად იმოქმედონ ქართველი ქრისიტანი საზოგადოების შეხედულებებსა და განწყობებზე და მისცენ გარკვეული მიმართულება ამ განწყობების ჩამოყალიბებისას. მართლმადიდებლური ჯგუფების რელიგიურ დისკურსებში ნაციონალიზმის ელემენტები ცხადად იგრძნობა, ისინი ქართულ იდენტობაზე რელიგიური იდენტობის გადაჯაჭვულობას თავისთავად ლოგიკურ ფენონემად თვლიან და მიიჩნევენ, რომ ეს მყარი კავშირი რელიგიასა და ნაციონალიზმს შორის იძლევა ლოგიკურ საშუალებას რელიგიის მიერ ნაციონალიზმის ელემენტების ათვისებისა და მისაკუთრებისა.

შემდეგ ქვეთავებში განვიხილავ რელიგიისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების ბრუბეიკერისეული მოდელის ქართულ რეალობაში გამოვნენის მაგალითებს, რაც მოგვცემს ნათელ სურათს რელიგიური და ნაციონალური სენტიმენტების ურთიერთგადაფარვისა სოციალურ ქსელ ფეისბუქში მართლმადიდებლურ რიტორიკულ პერფორმანსზე დაყრდნობით. ამისათვის გამოვყავი შემდეგი ორი ქვეთავი: „რელიგია, როგორც ნაციონალიზმის ანალოგია“, და „რელიგია, როგორც ნაციონალიზმის ნაწილი“

1.2 რელიგია, როგორც ნაციონალიზმის ანალოგია

სოციალურ ქსელში მართლმადიდბლური თემატური ჯგუფების თვითპრეზენტაციაზე დაყრდნობით, კვლევის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ ამ ჯგუფების თვითპრეზენტაციაში რელიგასა და ნაციონალიზმს შორის არსებობს მჭიდრო დამოკიდებულება. გამოვლინდა ბრუბეიკერის მოდელიდან პირველი მიდგომის თვალსაჩინო მაგალითები.

საკვლევი თემის ფარგლებში, რელიგიისა და ნაციონალიზმის ანალოგიად განხილვის მაგალითებში გამოვლინდა, რომ რელიგიამ, ნაციონალიზმის მსგავსად, შეითვისა **ერის კონსოლიდაციის ფუნქცია.** როდესაც პაქრიარქი შეხვდა გარდაცვლილი ზაზა სარალიძის ოჯახს, ფეისბუქ გვერდ „საქართველოს იმედზე“ მართლმადიდებლური თემატური ჯგუფის წევრი გამოთქვამს იმედს *„გვწამს, რომ პატრიარქი დაამშვიდებს ამ სიტუაციას. ტყუილად ცდილობენ მავანნი ქვეყანაში არეულობის შემოტანას, სანამ ჩვენი დიდებული პატრიარქი ჩვეთანაა, ყველაფერი კარგად იქნება.“* ამ დისკურსში ცხადად იგრძნობა პატრიარქის, ერთი მხრივ ნება - ჩაერიოს მსგავსი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი და კონფლიქტურ პროცესში, ხოლო მეორე მხრივ - ძლევამოსილი გავლენა, დამშვიდოს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანკონფლიქტში ჩართული ადამიანები და განმუხტოს სიტუაცია.

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავთან დაკავშირებულ დისკუსიებში ასევე ისმის ერის კონსოლიდაციისაკენ მიმართული დისკურსი, რომელშიც განმსაზღვრელად მიიჩნევა რელიგიის როლი: *„დღემდე საქართველო სარწმუნოებამ მოიყვანა, დღეს კი მავანნი ცდილობენ საქართველოს წაართვან სარწმუნოება“ (საქართველოს იმედი).* იკვეთება მოსაზრება, რომ ქართველ ერს, რომელიც ისტორიულად მართლმადიდებლობაზე დგას, ჰყავს მოწინააღმდეგეები, თუმცა *„მიუხედავად დევნისა და შეურაცხყოფისა, ეკლესია ცოცხალია“* (საქართველოს იმედი). ამ დისკურსში ერის მოწინააღმდეგე, იმავდროულად, მისი სარწმუნოების მოწინააღმდეგედაა წარმოჩენილი და ნარატივი, რომელიც ქართულ ერზე ფოკუსით იწყება, იმით სრულდება, რომ „ეკლესია როგორც ერის ქვეკუთხედი“ ცოცხალია.”

მართლმადიდებლური თემატიკის ჯგუფები ერის კონსოლიდაციისაკენ მიმართულ დისკუსიებში ასევე ეხებიან საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკას და მოითხოვენ ისინი ხელისუფლების მისამართით შემდეგ განცხადებებს ავრცელებენ: *„მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გადადგან ქმედითი ნაბიჯები, რათა შეიქმნას საზოგადოების დამცავი სამართლებრივი და სხვა სახის მექანიზმები და გატარდეს შესაბამისი პოლიტიკა“* (პატრისტიკა პატრილოგია).

ნაციონალიზმის მსგავსად, რელიგია, როგორც ერის კონსოლიდაციის საშუალება არის მართლმადიდებლური თემატური ჯგუფების დისკუსიის საგანი. იგი ქართველების ეკონომიკური გაჭირვების განხილვისას გამოდის ინიციატივით: *„მოვითხოვთ, რომ გაუქმდეს აზერბაიჯანთან და თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები, თუკი საქართველოს მოქალაქეებს არ მოგვცემენ აზერბაიჯანიდან იაფი საწვავის შემოტანის უფლებას“* (პატრისტიკა პატრილოგია).

რელიგიისა და ნაციონალიზმის ანალოგებად განხილვის დისკუსიებში იკვეთება, ნაციონალიზმის მსგავსად, რელიგიის როლი ეროვნული მემკვიდრეობის გადარჩენის საკითხში. იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში ტაძრების მშენებლობის „ბუმია“, ერის საკრალური სივრცის „ოკუპაციაზე“ დისკუსიები აქტუალურია სოციალურ ქსელში: *„ისტორიული მნიშვნელობის მქონე სივრცის ოკუპაცია გრძელდება - მცხეთა, ბაგრატის ტაძარი, თბილისის ისტორიული ნაწილი. ეს არის კულტურის გენოციდის ერთ-ერთი ფორმა“* (პატრისტიკა პატრილოგია). ნარატივიდან ჩანს, რომ ქვეყნის „სულიერი ძეგლებისთვის” მიყენებული ზიანი ერის კულტურულ გენოციდად არის სახელდებული. დისკუსიისას ავტორი მოიხმობს გ. ტაბიძს ლექსს:

„რაა მასზე გულდამწყვეტი, მეტეხო და დიღმის ველო,

მოდიოდე და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო,

არის ხლართი რკინიგზების, არის ავტო, მოტო ველო,

არის ოჯახებიც, მაგრამ ეს არ არის საქართველო!“

სადაც იკვეთება ქვეყნის არა მარტო „სულიერი ძეგლების“ დაზიანება, არამედ ოჯახის ინსტიტუტის რღვევა, მისი ღირებულებების გაუფასურება.

ეროვნული მემკვიდრეობის დაცვისაკენ მიმართულ დისკურში იგრძნობა, რომ ერის თავისუფლებისთვის ბრძოლა სარწმუნოებისთვის ბრძოლასთან არის გაიგივებული და ამით ეროვნულსა და რელიგიურს შორის პირდაპირი ანალოგია კეთდება. საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ პოსტში მართლმადიდებელი თემატიკის ჯგუფის წევრი წერს: *„მთელი ჩვენი ისტორია არის ბრძოლა თავისუფლებისთვის, ბრძოლა სარწმუნოებისთვის,“* ასევე *„ჩვენს სამშობლოს ვუსურვებთ არ დაევიწყებინოს, ვისი გორისა ვართ. ღვთისმშობლის ერო, ნუ გეშინია“* (ტკბილ ხარ შენ უფალო).

დისკუსიებში მნიშვნელოვანი ყურადღება არის გამახვილებული საქართველს, როგორც ისტორიულად ქრისტიანი ქვეყნის, სკოლის სახელმძღვანელოებში შეტანილ ცვლილებაზე, რაც საქართველოს ისტორიის საათების შემცირებას და ისტორიის ინტეგრირებულ საგნად სწავლებას გულისხმობს. *„როგორი იქნება ახალ ინტეგრირებულ საგანში საქართველოს ისტორიის პროცენტული თანაფარდობა მსოფლიო ისტორიასთან მიმართებაში?“,* ასევე *„უმჯობესი იქნება, თუ საგნის დასახელება ასე ჩამოყალიბდება „საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია.“* საქართველოს ისტორიის სწავლის საათების შემცირება, მართლმადიდებლური ჯგუფის წევრების აზრით გავლენას იქონიებს ქართველ მოსწავლეებზე, როგორც ერის მომავალზე, რომელმაც უნდა იცოდეს საკუთარი სამშობლოს ისტორია და ამ ნაციონალურ სენტიმენტებზე უნდა აღიზარდოს.

1.3 რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შემადგენელი ნაწილი

ემპირული მონაცემების ანალიზის ამ ნაწილში, რელიგიას ნაციონალიზმის შემადგენელ ნაწილად განვიხილავ. მართალია, ბრუბეიკერის მიერ წარმოდგენილ მოდელში, ურთიერთმიმართების რელიგიის, როგორც ნაციონალიზმის შესწავლის საშუალების

მიდგომა ნიშნავს, რომ კონკრეტული რელიგიის მოძღვრებაში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ელემენტები, რომლებიც იმავე საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნაციონალიზმის გაგებაში დაგვეხმარება - ანუ როგორ აღვივებს ნაციონალისტურ სენტიმენტებს მართლმადიდებლობა ერის რჩეულობის თუ გამორჩეულობის ხაზგასმით. მაგალითად ჩვენს საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრებაა საქართველოს, როგორც „ღვთისმშობლის წილხვედრი ერის", ერთ-ერთი პირველი ქრისტიანი ერის, ასევე დისკურსი, რომლის თანახმადაც მეორედ მოსვლისას ღმერთი ქართულად განიკითხავს და სხვ. აღნიშნული ნარატივები ვლინდება როგორც ყოველდღიურ პრაქტიკებში, ასევე ისინი გამოვლინდა ჩვენი საკვლევი ჯგუფების დისკურსებში.

აღსანიშნავია, რომ ფეისბუქში მიმდინარე დისკურსის თანახმად, ნაციონალიზმსა და რელიგიას შორის ურთიერთმიმართების ფორმების კვლევისას, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა დომინანტი მიდგომა და ეს არის რელიგიის ნაციონალიზმის შემადგენელ ნაწილად განხილვის მიდგომა.

ჩემს ემპირიულ მონაცემებში, **რელიგია არის ეროვნულობის ქვაკუთხედი,** რომლის გარშემოც უნდა გაერთიანდეს მთელი ერი. მართლმადიდებლურ ჯგუფების პოსტებში შემუშავებულია ქართველი, როგორც მართლმადიდებელი ერის გაერთიანების და დაწინაურების სტრატეგიები. ერთ-ერთი ასეთი სტრატეგიის თანახმად, ქართულმა ეროვნულმა ძალებმა უნდა *„მოახდინონ კონსოლიდაცია მომავალ არჩევნებში"* , რათა მოახდინონ „რელიგიური და ეროვნული იდეების პრაქტიკაში განხორციელება" (პატრისტიკა პატრილოგია). ავტორი ვარაუდობს, რომ *„თუ ეროვნული ძალები მოახერხებენ გაერთიანებას და პარლამენტში 20%-იანი წარმომადგენლებით შევლენ, მომგებიან ვითარებაშო აღმოჩნდებიან, რადგან „20% სრულიად საკმარისია, რომ არც პრორუსულ და არც პროდასავლურ ძალებს არ ჰქონდეთ საშუალება, საპარლამენტო გადაწყვეტილების მიღებისა."* ავტორის განმარტებით, ეს ეროვნული ძალები უნდა იყოს დაკომპლექტებული ისეთი ადამიანებისგან, ვისაც არ აქვს საზოგადოებრივი ავტორიტეტი შელახული და ვინც იქნება სიტყვის კაცი, და არ „გაიყიდება". *„თუკი მოვახერხებთ*

ხელისუფლებაში ამგვარი ადამიანების გაყვანას, გამოცდილ პროდასავლურ და პრო-რუსულ ლიდერებთან ურთიერთობაში, პოლიტიკის კეთებას მაინც ისწავლიან და კვალიფიკაციას აიმაღლებენ. ავტორი ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაში ეროვნულ ძალებს ლავირების საშუალება ექნებათ და *„ვინც უფრო საჩვენო ინიციატივით გამოვა, მას დაუჭერენ მხარს“* (პატრისტიკა პატრილოგია).

რელიგიის ეროვნულობის ქვაკუთხედად წარმოდგენას კიდევ უფრო ამყარებს დისკუსიები საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ თემატურ პოსტებში. *„გილოცავ ჩემო ბედკრულო და მრავალტანჯულო სამშობლოვ“, „ბევრჯერ ეგონათ, საქართველო ვეღარ გაცოცხლდებოდა, მაგრამ ღვთის მადლით და ღვთისმშობლის მფარველობით საქართველო ძლიერდებოდა, ბრწყინდებოდა,“ „დღემდე საქართველო სარწმუნოებამ მოიყვანა“* - ეს დისკუსიები ქართველი ერის გადარჩენას მნიშვნელოვანწილად მის მართლმადიდებლობას უკავშირებს. სწორედ მართლმადიდებლობაა მიჩნეული არაერთხელ დაცემული საქართველოს გადარჩენის და „გაცოცხლების” მიზეზად და სამომავლოდაც, მისი „გაბრწყინების” გარანტადაა მიჩნეული.

თუმცა, ასევე ვლინდება განსხვავებული განწყობებიც, რომლებიც დამოუკიდებლობის 100 წლისთავს, ილია ჭავჭავაძის იდეური მტრების და ნოე ჟორდანიას მასონური ხელისუფლების იუბილედ მიიჩნევენ. *„დამოუკიდებლობის 100 წლისთავი ილიას იდეური მკვლელების რეაბილიტაციად იქცა. დამოუკიდებლობის ნაცვლად, ფაქტობრივად, საქართველოს პირველი მასონური ხელისუფლების 100 წლისთავი აღნიშნეს.“* ამ ფაქტს ავტორი ანტიქართული ნაციონალიზმის გამოვლინებად მიიჩნევს. იგი თვლის, რომ ქვეყნის „ეროვნულობის გადამრჩენლის“ (მართლმადიდებლური მარგალიტები-ნამდვილი) ილია ჭავჭავაძის იდური მკვლელების მიერ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება არ იყო მათი თვითმიზანი.

ქვეყანაში ეროვნული იდენტობისა და რელიგიის დაკავშირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია პატრიარქის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, 17 მაისი დაწესდა „ოჯახის სიწმინდის“ დღედ. მოტივი გახდა 2013 წლის 17

მაისს ჰომოფობისს წინააღმდეგ ჩატარებული აქცია თბილისში, სადაც უნდა გამართულიყო განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების და მათი მხარდამჭერების მშვიდობიანი მსვლელობა, რასაც თავიდანვე აპროტესტებდა ეკლესია და მისი მრევლი. ისინი თვლიდნენ, რომ აქცია მოახდენდა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების პოპულარიზებას და პროპაგანდას, რასაც ქართველი მართლმადიდებელი ერი არ დაუშვებდა. მართლაც, მსვლელობას მშვიდობიანად არ ჩაუვლია და მოხდა დაპირისპირება ამ ორ ჯგუფს შორის. საქმეში ჩაერია სახალხო დამცველის აპარატი და საპატრულო პოლიცია. სწორედ ამ მიზნით, რომ მსავსი აქცია აღარ გამართულიყო, პატრიარქმა 17 მაისი დააწესა „ოჯახის სიწმინდის“ დღედ.

საკვლევი თემის ფარგლებში, მართლმადიდებლური თემატური ჯგუფების მიერ გამართულ დისკუსიებში „ოჯახის სიწმინდის დღე“, ქართველი საზოგადოების საჭიროებიდან გამომდინარე პატრიარქის ინიციატივით დაწესდა. თუმცა, რეალურად ამ დღის დაწესების მიზეზი გახდა ჰომოფობიის და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბროლის საწინააღმდეგოდ მიმართული მართლამადიდებლური კამპანია. საქართველო და ქართველი ერი გარყვნილების პროპაგანდას „წმინდა ოჯახის“ ფენონმენით დაუპირისპირდა: „*საქართველო ბედნიერია, რომ ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ამ დღეს ტრადიციულად აღნიშნავს ოჯახის სიწმინდის დღესასწაულს. ეს არის დღე, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოს პარტიარქმა დაგვიდგინა ეროვნულ დღესასწაულად. როგორც არასდროს, ისეთი საჭირო იყო ბოლო წლებში ოჯახის სიწმინდის დაცვის დღე, ვინაიდან, ოჯახების დანგრევის და განშორებათა სტატისტიკა არის საგანგაშო. სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის მოწოდებები ანტიოჯახური ღირებულებების დაკანონებისა.“*

ფეისბუქში მიმდინარე დისკუსიების კიდევ ერთ საგანს წამოადგენს **შერეული ქორწინებების თემა,** რაც მიჩნეულია რეალური საფრთხის შემცველად ქართველი ერის გადარჩენა/გამრავლების პროცესში. ერთ-ერთი მართლმადიდებლური თემატიკის ფეისბუქ გვერდი აქტიურად განიხილავს უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდას - *„რას ნიშნავს ნიგერიელი სტუდენტები საქართველოში? ხომ არ არის ეს ჩვენი ქვეყნის*

წინააღმდეგ მომართული დემოგრაფიული ექსპანსიონიზმის მორიგი შენიღბული ფორმა? ისინი სინამდვილეში ლტოლვილები არიან. შეუძლია ჩვენს ქვეყანას ამდენი ლტოლვილი „სტუდენტის“ მიღება? წესით, ხელისუფლებამ უნდა გაამკაცროს კონტროლი და სასწავლებლებს დაუწესოს საერთაშორისო სტუდენტების მიღების ლიმიტი.“ ნიგერიელი ავტომატურად არამართლმადიდებელსნიშნავს. მათზე საუბრისას ავტორი რწმენისა და ეროვნული კუთვნილების ნიშნით ერთდროულად ახდენს მათ სტიგმატიზაციას.

რელიგიისა და ნაციონალიზმის ურთიერთდამოკიდებულების კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს მართლმადიდებლური ჯგუფების მიერ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ამკრძალავი კანონის ინიცირების მოთხოვნა და მისი მოთხოვნით ჩატარებული აქციები. საკითხი ეხება რუსთავი 2-ის ჟურნალისტის მიერ გაკეთებულ განცხადებას, სადაც მან შეურაცხყოფა მიაყენა ქრისტიანულ რელიგიას. შედეგად ეკლესიის ავტორიტეტებმა მოუწოდეს მრევლს, აღარ გამოეყენებინათ ეს მედია საშუალება და ამასთან გამართეთ აქცია ზემოაღნიშნული კანონის ინიცირებისათვის. *„ქრისტე ვერავინ დაამარცხა და ვერც ვერავინ დაამარცხებს“* - ასეთია მართლმადიდებლური ჯგუფების დისკურსი.

დასკვნა

ნაშრომში გაანალიზებულია მართლმადიდებლური თემატური ჯგუფების ფეისბუქ დისკუსიებსა და პოსტებში რელიგიასა და ნაციონალიზმს შორის არსებული ურთიერთავშირი. ამ ურთიერთკავშირის შესაფასებლად გამოვიყენე ბრუბეიკერის მიერ შემოთავაზებული რელიგიასა და ნაციონალიზმს შორის ურთიერთმიმართების ოთხგანზომილებიანი მოდელი. აღნიშნული მოდელის ოთხივე მიდგომა გამოვლინდა ნაშრომში წარმოდგენილი თემატური ჯგუფების დისკუსიებიდან. კერძოდ, გამოვლენილ იქნა

1. რელიგიისა და ნაციონალიზმის, ეთნიკურობისა და რასის მსგავსად, ანალოგიურ ფენომენებად განხილვა;
2. რელიგია, როგორც ნაციონალიზმის შესწავლის საშუალება;
3. რელიგია, როგორც ნაციონალიზმი (რელიგიის მიჩნევა ნაციონალიზმის ნაწილად);
4. ნაციონალიზმი, როგორც რელიგის ერთ-ერთი ფორმა.

კვლევისათვის საჭირო მონაცემები მოვიპოვე მართლმადიდებლური თემატიკის შემდეგი ფეისბუქ გვერდებიდან: „პატრისტიკა პატრილოგია“, „საქართველოს იმედი“, „მართლმადიდებლური მარგალიტები-ნამდვილი“, „ტკბილ ხარ შენ უფალო.“ მათ სტატუსებით დადგინდა, თუ როგორი კუთხით ახდენენ თვითპრეზენტაციას ეს ჯგუფები, როგორ უკავშირებენ რელიგიას ნაციონალიზმს და რა მიმართულებით ხდება ეროვნულობის ხაზგასმა მათ დისკუსიებში.

მართლმადიდებლური თემატური ჯგუფების დისკუსიების კვლევამ ცხადყო, რომ გამოვლენილი დომინანტური ხედვა ამ ჯგუფებზე დაყრდნობით, არის რელიგიის ნაციონალიზმის შემადგენელ ნაწილად განხილვა.

არსებული ჰიპოთეზა გამართლდა და დადგინდა, რომ ვფიქრობთ, სოციალურ ქსელში არსებულ მართლმადიდებლურ ჯგუფებში როჯერს ბრუბეიკერის მოდელის ოთხივე განზომილება გამოვლინდება და განსაკუთრებით თვალსაჩინო იქნება დისკურსი რელიგიის, როგორც ნაციონალიზმის ქვაკუთხედის, შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adamczyk, A. & Pitt, C. (2009). *Saping altitudes about homosexuality: The role of religion and cultural context*. City ubiversity of New York.
2. Ammerman, N., T. (2006). *Everyday Religion. Oxford University Press*.
3. Brubaker, R. (2012). *Religion and Nationalism: Four approaches.* los-angeles: University of California. 18(1), 2-20.
4. Fairclough, N. (1989). Lenguage and Power. London: logman Group.
5. Fairclough, N. (1995). Critical discourse analysis: Analysing Discourse: Textual Analysis for Social Research. New York: Longman.
6. Leustean, L., N. (2008). *Orthodoxy and political myth in Balcanian national identities.* Birmingham: Aston university.
7. Rieffer, B., A. (2003). *Religion and nationalism understanding the consequence of a complex relationship.* Lincoln: University of Nebraska.
8. Safram, W. (2008). *Orthodoxy and political myth in Balkan national identities.* Birmingham: Aston University, 421-432.
9. Serrano, S. (2010). *De-secuarizing national space in georgia.*
10. Stan, L. & Turcescu, L. (2006). *Politics, national Symbols and the Romanian Orthodox Cathedral.* Europe-Asia Studies, 7(11), 119-139

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Diana Abramashvili

Self-Presentation of Orthodox Thematic Groups on Facebook

Sociology of Culture and Media

The Thesis is prepared for obtaining Master's Academic Degree in Social and Cultural Researches

Supervisor: Lia Tsuladze – Doctor of Sociology, TSU Associate Professor

Tbilisi

2018